შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№12 (9.774)

1-8 აპრილი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გვ.2

პირველი პრეზიდენტი და რეფერენდუმი

ელია თეზბიტელის დაზიანებული ტაძრის რესტავრაციაზე იმსჯელეს

გვ.6

როცა მინისტრი სტუმრობს მეცხვარეს...

გვ.3

მეცხვარეობის დარგი საქართველოს სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. შესაბამისად, მისი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო არაერთ ღონისძიებას ახორციელებს

ეროვნული ალმოჩენა

გვ.8

თუშეთში ავიარეისები ყოველ ხუთშაბათს შესრულდება - მგზავრობა უფასოა

გვ.2

გაუპატიურებული თუ გაუჩინარებული ტურისტი?!

გვ.4-7

წარმატებული ოჯახი წარმატებული ქვეყნის საწინდარია!

გვ. 2

ცხოვრებაში ყველაზე დიდი ბედნიერება შვილებია...

გვ.5

C M Y K

საკრებულოს სხდომაზე

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი , სადაც დღეს საზოგადოებრივი ცენტრი მდებარეობს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უსასყიდლო სარგებლობაში აღნაგობის ფორმით 30 წლის ვადით გადაეცა. შესაბამისი ქმედებისთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს 28 მარტის სხდომაზე მისცა.

ასევე, საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე ,მუნიციპალიტეტის გამგებელს თანხმობა მიეცა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ორი კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა უსასყილდლო სარგებლობის უფლებით შ.პ.ს სერვისი 2007-ს“ გადასცეს.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობამ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს გამოუყო თანხა, რომელიც აისახა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში. ბიუჯეტის ცვლილებას საკრებულოს წევრებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს.

გიორგი მარგველაშვილმა და ლატვიის პრეზიდენტმა ყვარელში მუსიკის კუნძული გახსნეს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და ლატვიის პრეზიდენტი რაიმონდს ვეიონისი კახეთის რეგიონს სტუმრობენ. ვიზიტის ფარგლებში ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა ყვარელში, ილიას ტბაზე, პირველი ლატვიურ-ქართული პროექტი „მუსიკის კუნძული“ გახსნეს.

ღონისძიებაზე გიორგი მარგველაშვილი და რაიმონდს ვეიონისი სიტყვით გამოვიდნენ, შემდეგ კი ორი ქვეყნის პრეზიდენტებს სიმბოლურად გასაღებები გადასცეს.

აღნიშნულ პროექტს ლიტვური კომპანია „ფერრუს Dეველოპმენტ“ ახორციელებს და ის ორი ეტაპისაგან შედგება. პირველი ეტაპი ითვალისწინებს ილიას ტბაზე საკონცერტო სივრცისა და ეკოკოტეჯების აშენებას, რომლისთვისაც 1. 5 მილიონი ევროს ინვესტიცია განხორციელდა. პროექტის მეორე ეტაპი ეკოკოტეჯების წარმოების საქართველოში გადმოტანას და მის შემდგომ განვითარებას გულისხმობს.

ლატვიის პრეზიდენტი საქართველოს მეუღლესთან ერთად ორი დღის წინ ეწვია. ეს, პრეზიდენტის რანგში, ვეიონისის პირველი ვიზიტია საქართველოში.

თუშეთში ავიარეისები ყოველ ხუთშაბათს შესრულდება - მგზავრობა უფასოა

თუშეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი საავტომობილო გზის გახსნამდე, ავიარეისები ომალოს მიმართულებით ყოველ ხუთშაბათს შესრულდება. სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი მგზავრებს ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანში, პროფესიული კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე აიყვანს. ფრენა დილის 9 საათზეა. მგზავრობა უფასოა.

თუშეთში გაფრენის მსურველები სიაში ჩასაწერად წინასწარ უნდა დაუკავშირდნენ ქვემო ალვანში ახმეტის გამგებლის წარმომადგენელს ლადო კახოიძეს ტელეფონის შემდეგ ნომერზე: 591 01 01 92.

კახოიძის თქმით, ვერტმფრენით თუშეთში მგზავრობა მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, ვინც თუშეთში ცხოვრობს, ფერმერულ საქმიანობას ეწევა ან დროებით სამუშაოებზეა დასაქმებული.

„იმ შემთხვევაში თუ უამინდობის გამო ფრენა გადაიდო, როგორც კი გამოამინდდება, რეისი აუცილებლად შესრულდება. ვერტმფრენი ომალოში დაახლოებით 30-40 წუთი გაჩერდება და სურვილის შემთხვევაში მგზავრებს იქიდანაც წამოიყვანს“, - ამბობს ლადო კახოიძე.

წარმატებული ოჯახი წარმატებული ქვეყნის საწინდარია!

„ერის საწყისი და ძირითადი ბირთვი ოჯახია“

ჭაბუა ამირეჯიბი

გაზეთი „საქართველოს ლირიკა“ და საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარი“ ბოლო ათეული წელია, ავლენს და აჯილდოებს წარმატებულ ადამიანებს სხვადასხვა ნომინაციაში ქვეყნის მასშტაბით. ამჯერად, საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად, გამოვლინდნენ გამარჯვებულები ნომინაციაში „წარმატებული ოჯახი წარმატებული ქვეყნის საწინდარია“. წარმატებული ოჯახები გამოვლინდნენ ბორჯომში, თბილისში, დედოფლისწყაროში. დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია ამ ნომინაციაში გამარჯვებული **გივი ღვინიაშვილის** და **რეგინა ჯანიაშვილის** ოჯახი, რომელიც გამოირჩევა ურთიერთპატივისცემითა და ერთგულებით, შრომისმოყვარეობით, პატიოსნებით და სიმტკიცით. მათ ბევრი ცხოვრებისეული წინააღმდეგობა და გაჭირვება გადალახეს ურთიერთგვერდში დგომით, გაზარდეს კარგი შვილები, შვილიშვილები. მოდით, გავეცნოთ მათ განვლილ გზას, იმას, თუ როგორ ცხოვრობდნენ ბატონი გივი და ქალბატონი რეგინა ოჯახის შექმნამდე და როგორ ეწეოდნენ ოჯახურ უღელს მთელი ორმოცდაორი წლის განმავლობაში:

რეგინა ჯანიაშვილი დაიბადა 1950 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო ბოდბეში. მშობლები - ლენა და ვალიკო ჯანიაშვილები, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ახალგაზრდები დაქორწინდნენ, მშრომელი, ოჯახის მოყვარული ადამიანები იყვნენ, რეგინა მათი პირველი შვილი გახლავთ.

- დედა 17 წლის იყო, მამა კი - 18 წლის, როცა მე დავიბადე, სახელი მამიდამ შემირჩია. ის გერმანოლოგი იყო და... „რეგინა“ გერმანულად „დედოფალს“ ნიშნავს. 6 წლის შემდეგ და შემეძინა, 16 წლის შემდეგ – ძმა. ახალგაზრდული ოჯახი გვქონდა, მხნე და მხიარული. ბედნიერი ბავშვობა მქონდა. სკოლაში კარგად ვსწავლობდი და არც უმაღლეს სასწავლებელში მოწყობა გამჭირვებია. 1974 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დავამთავრე. მალევე - 1975 წელს შევქმენი ოჯახი გივი ღვინიაშვილთან ერთად-გვიყვება ქალბატონი რეგინა.

ახლა გიორგი, იგივე გივი ღვინიაშვილი გავიცნოთ: ის 1949 წელს დაიბადა დიმიტრი და რიმა ღვინიაშვილების ოჯახში და-ძმის შემდეგ. დიმიტრი თავისი თაობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი იყო, სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა და კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. ქალბატონი რიმა სამი შვილის აღზრდით იყო დაკავებული, კარგი შვილებიც დაზარდა, მისცა განათლება, დააბინავა, გივიმ 1966 წელს დაამათავრა ქალაქ წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლა და იმავე წელს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1971 წელს ინჟინერ-მექანიკოსის დიპლომი აიღო და სავალდებულო სამხედრო სამსახურშიც გაიწვიეს. ჯარის წლებს მადლიერებით იხსენებს ბატონი გივი.

- ჩემი სპეციალობის შესაბამის ნაწილში მოვხვდი, საკმაოდ მძლავრი მექანიზირებული პარკი მებარა. მართვის ორგანიზების თუ ტექნიკური სიახლეების გაცნობის თვალსაზრისით დიდი გამოცდილება მივიღე, რომელიც მთელი ჩემი შრომითი საქმიანობისას მეხმარებოდა. ჯარიდან დაბრუნებულმა მივიხედ-მოვიხედე და.. . ახლობელმა რეგინა გამაცნო. მომეწონა. ჩემს კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა და ბევრიც არ მიფიქრია, ქორწილიც დაინიშნა. ორმოცდამეორე წელია, ერთად ვეწევით მეუღლეობის არცთუ იოლ და მარტივ უღელს, ყველაფერი ჩვენი შრომით შევქმენით. მე ბედნიერი ვარ. ღმერთმა ყველას ისე გაუმართლოს მეწყვილის არჩევანში, როგორც მე გამიმართლა. მართალია, დიდი სასიყვარულო, რომანტიკული და თავდავიწყებული თავგადასავლები არ უძღოდა წინ ჩვენი ოჯახის შექმნას, მაგრამ არც სიმტკიცე და ერთგულება, არც გულისხმიერება და ერთმანეთის პატივისცემა არ დაგვკლებია, პირიქით, თანდათან გაძლიერდა, განმტკიცდა და ერთგულ სიყვარულში გადაიზარდა სიმპათიებით დაწყებული ჩვენი ურთიერთობა,- გულწრფელად ამბობს გივი.

- გივიმ შრომითი საქმიანობა წითელწყაროს რუსთავის საფლუსე კირქვების კარიერში დაიწყო, იქიდან ავტოსატრანსპორტო კანტორაში გადაინაცვლა, შემდეგ რაიონის საქსოფლტექნიკის სამმართველოში შრომის უსაფრთხოების ინჟინრად დაინიშნა, მალევე მმართველის მოადგილედ დააწინაურეს, შემდეგ მმართველის პოზიცია დაიკავა და დღემდე ამ ორგანიზაციის ბაზაზე ჩამოყალიბებული სააქციო საზოგადოება „პროგრესი“-95-ის ხელმძღვანელია. ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა ცხოვრებაში. მაშინ, როცა ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ქვეყანა ქაოსმა, სიბნელემ, სიცივემ და შიმშილმა მოიცვა, გივის არ უთაკილნია, ერთი ჩვეულებრივი ტრაქტორისტის ფუნქცია შეესრულებინა, თავისი თავისთვისაც ეშველნა და სხვებსაც დახმარებოდა. ბეჭედს, რომელიც ჯიბეში ედო და თანამედროვე რეგალიებს მისთვის ხელი არ შეუშლია, მშრომელ, მეურნე ადამიანად ჩამოყალიბებულიყო. ასეა დღემდე და ასე იქნება კიდევ მრავალ წელს.

თავისი შრომითი გზა გაიარა ქალბატონმა რეგინამაც. მან, როგორც ეკონომისტმა, ბევრ ორგანიზაციას გაუწია კვალიფიციური სამსახური. პირველად სოფლის წყალსადენების სამმართველოს ბუღალტერი იყო, მერე სკოლა- ინტერნატის მთავარი ბუღალტერი, როცა მეფრინველეობის დიდი მეურნეობა , ე.წ. „ბამი“ გაიხსნა, მან მთავარი ეკონომისტის თანამდებობა დაიკავა და იმუშავა იქ ლიკვიდაციამდე, მერე ერთ-ერთი კომერციული ბანკის მთავარი ეკონომისტის პოზიციით დაასრულა „გარეთ“ სამსახური და ოჯახის დიასახლისის ფუნქციას დაუბრუნდა. ის წლები ძალიან მძიმე იყო ყველასთვის და რეგინაც ვაჟკაცივით ედგა მხარში მეუღლეს საკუთარი შვილების კეთილდღეობისათვის, ერთ უღელში შებმულნი შრომობდნენ დღე და ღამ იმისთვის, რომ მათ სწავლა-განათლების ნორმალური პირობები ჰქონოდათ.

შვილებმა კი, მართლაც, რომ გაუმართლეს. უფროსი შვილი არჩილი 1976 წელს დაიბადა. საუკეთესო მოსწავლე იყო; მერე პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამრეწველო ელექტრონიკის სპეციალობა დაამთავრა და ბევრ საქმეში სცადა ბედი, მაგრამ ცუდი დრო შეესწრო, ძნელი იყო კერძო ბიზნესის აწყობა და მანაც, როგორც ბევრმა სხვა ახალგაზრდამ ჩვენს ირგვლივ, საზღვარგარეთ წასვლა არჩია. ექვსი წელია, აჩიკო საუდის არაბეთში ნავთობკომპანიაში მუშაობს, არც ოჯახს სწყდება - ორი თვე რომ მუშაობს, ერთი თვე სახლშია. სახლში კი მზრუნველი მშობლების გარდა საყვარელი ცოლ-შვილი ელოდება.

- გაგვიმართლა, ჩვენი რძალი, სოფიო კირვალიძე ძალიან კარგად აღზრდილი გოგოა, ჩვენს ოჯახში შემოსვლისთანავე შვილივით შევიყვარეთ. მან სამხატვრო აკადემია დაამთავრა და ამჟამად კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრში მხატვრად მუშაობს და ორ ანგელოზივით შვილიშვილს გვიზრდის: ელენე და პაპის დაბადების დღეს დაბადებული და პაპის მოსახელე გიორგი უკვე მოსწავლეები არიან და ძალიან კარგად სწავლობენ - ამბობს რეგინა და აშკარად იგრძნობა, რომ ბებიას შვილიშვილებზე დიდი ამაგი აქვს.

გივის და რეგინას ქალიშვილმა- შორენამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა. ის პედიატრია და ქ. დედოფლისწყაროს №1საჯარო სკოლაში ბავშვთა ექიმად მუშაობს და ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას. ის მეუღლესთან - ილია კვანჭილაშვილთან ერთად ორ ვაჟკაცს უზრდის ქვეყანას. ნიკა და დაჩი კვანჭილაშვილები საუკეთესო მოსწავლეები არიან, ხშირად სტუმრობენ პაპა- ბებიას და ძალიან უყვართ მათთან ყოფნა. გივი და რეგინაც ხარობენ კარგი შვილებისა და შვილიშვილების გარემოცვაში. ასეთი, ერთდროულად ჩვეულებრივიც და არაჩვეულებრივიც არის ოჯახი, რომელიც დედოფლისწყაროს მაცხოვრებლებმა საუკეთესო ოჯახად დაასახელეს. ცხადია, ბევრი კარგი და მისაბაძი ოჯახი ცხოვრობს ჩვენს გარშემო, მაგრამ რჩეულის ტიტული ერთეულთა ხვედრია.

ბატონ გივის და ქალბატონ რეგინას ერთი რამაც აერთიანებთ-ისინი ორივე დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის წევრები არიან და ყოველთვის მხარში უდგანან სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობისას.

კვლავაც დიდხანს და ბედნიერად ცხოვრება ვუსურვოთ ქალბატონ რეგინას და ბატონ გივის, ისინი ამას იმსახურებენ.

ნაირა გორაშვილი

როცა მინისტრი სტუმრობს მეცხვარეს...

სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი დედოფლისწყაროში, ტარიბანას ზამთრის საძოვრებზე იმყოფებოდა, სადაც მეცხვარეებს დარგში არსებულ ვითარებასა და განვითარების პერსპექტივებზე მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილთან ერთად ესაუბრა.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა დედოფლისწყაროში ახლადაშენებული ბიოუსაფრთხოების პუნქტიც დაათვალიერა, სადაც უსასყიდლოდ მოხდება როგორც წვრილფეხა, ისე მსხვილფეხა პირუტყვის გაბანება და პარაზიტებზე დამუშავება, რაც უზრუნველყოფს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვას და დაავადებების გავრცელების შემცირებას.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა კახეთის გუბერნატორის მოადგილესთან, ირაკლი შიოშვილთან ერთად დედოფლისწყაროში ტახტითეფას ზამთრის საძოვრებზე ინდმეწარმე ბეჟან გონაშვილის ფერმა დაათვალიერა. ბეჟან გონაშვილი სახელმწიფო პროექტის „შეღავათიანი აგროკრედიტი“ ბენეფიციარია. საწარმომ 540 000 ლარის შეღავათიანი კრედიტი მიიღო და წარმოება გააფართოვა. ივრის ზეგანის ფერმაში 5000 ცხვარია, სეზონურად საწარმოში 20-25 ტონა მატყლს და 40 ტონა ხორცს აწარმოებენ. საწარმოში 20 ადამიანია დასაქმებული. პროდუქციის რეალიზაცია ხდება როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებზე.

მეცხვარეობის დარგი საქართველოს სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. შესაბამისად, მისი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო არაერთ ღონისძიებას ახორციელებს, მათ შორის:

- მიმდინარეობს ცხვრის პროფილაქტიკური და სავალდებულო ვაქცინაცია დაავადებებზე: თურქული, ჯილეხი, ცხვრისა და თხის ყვავილი, წვრილფეხა პირუტყვის ჭირი;
- ბიოუსაფრთხოების პუნქტები კახეთის რეგიონშიც გაიხსნება. მიმდინარე წელს კახეთში, დედოფლისწყაროსა და სიღნაღში, 2 პუნქტი აშენდა. 2018 წელს ანალოგიური პუნქტი აშენდება ყვარელშიც.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ქართულ ცხვარზე გაზრდილია მოთხოვნა არაბულიქვეყნების მხრიდან. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოდან განხორციელდა 400 ათასამდე სული ცხვრის (30 მლნ აშშ დოლარის ღირებულების) ექსპორტი; აქედან 255 ათასი სული ცხვარი (23 მლნ-მდე აშშ დოლარის ღირებულების) ექსპორტირებულია არაბულ ქვეყნებში: არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, საუდის არაბეთში, იორდანიაში, ლიბანში, ქუვეითსა და ყატარში. გარდა ამისა, ევროკავშირთან მიღწეული შესაბამისი შეთანხმებით, საქართველო დაემატა ეგრეთწოდებული მესამე ქვეყნების სიას და უკვე შესაძლებელია, ქართული მატყლის ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართველი მეცხვარეები ახალი გამოწვევების წინაშე არიან. სახელმწიფოს ხელშეწყობით, მათ შესაძლებლობა მიეცათ მაქსიმალურად გამოიყენონ ის პოტენციალი, რაც საქართველოში მეცხვარეობის დარგში არსებობს.

სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად დედოფლისწყაროში კახეთის გუბერნატორის მოადგილე ირაკლი შიოშვილი, სურსათის ეროვნული საგენტოს ხელმძღვანელი ზურაბ ჩეკურაშვილი, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილე მამუკა კვარაცხელია და მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილი იმყოფებოდნენ.

ლევან დავითაშვილმა დედოფლისწყაროში ახლადგაშენებული ნუშის ბაღი დაათვალიერა

ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში, კახეთის რეგიონში კიდევ ერთი ახალი ბაღი გაშენდა. სოფლის მეურნეობის მინისტრმა კახეთის გუბერნატორის მოადგილესთან, ირაკლი შიოშვილთან ერთად დედოფლისწყაროში, დალის მთის წყალსაცავის მიმდებარედ 16 ჰექტარზე გაშენებული ნუშის ბაღი დაათვალიერა.

ადგილობრივი გურამ გონაშვილი პროგრამაში „დანერგე მომავალი“ 2016 წელს ჩაერთო და 16 ჰექტარზე ნუშის ბაღის გაშენებისთვის და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის 48,880 ლარის სახელმწიფო დაფინანსება მიიღო. მიღებული დაფინანსებიდან 29,400 ლარი ნერგებისთვის, ხოლო 19,480 ლარი წვეთოვანი სისტემებისთვის იყო განკუთვნილი.

პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში კახეთის რეგიონში სულ 1 005.13 ჰა მიწის ფართობზე გაშენდა მრავალწლიანი კულტურის სხვადასხვა ხეხილის ბაღები, ხოლო გაცემულმა დაფინანსებამ შეადგინა 4 212 696.22 ლარი. ახალი ხეხილის ბაღების გაშენებისა და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით გაშენებული ფართობი დღეის მონაცემებით შეადგენს 3 017.57 ჰექტარს, ხოლო დაფინანსების მოცულობა 14,5 მილიონ ლარს აღემატება.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „აწარმოე საქართველოში - სწრაფი განვითარებისთვის“ ფარგლებში, ახორციელებს „ერთიან აგროპროექტს“, რომელიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე და მისი მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

პირველი პრეზიდენტი და რეფერენდუმი

ზუსტად 26 წლის წინ, 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანიზებული რეფერენდუმი, რომლის მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

მოსახლეობას უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე „ხართ თუ არა თანახმა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო სამხრეთ ოსეთის ყოფილი ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობამაც.

რეფერენდუმში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 3.302.572 ადამიანს (ამომრჩეველთა 90,3 პროცენტი). მონაწილეთა 98,9 პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. რეფერენდუმის შედეგად, იმავე წლის 9 აპრილს, საქართველოს სსრ-ს უმაღლესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

რეფერენდუმი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ჩაატარა, რომელსაც დღეს 78 წელი შეუსრულდებოდა.

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარებული დამოუკიდებლობის რეფერენდუმი გახლდათ, ყველაზე ნათელი წერტილი იმ პერიოდის მღვრიე და წინააღმდეგობით აღსავსე ყოველდღიური პოლიტიკური პროცესებისა... ურთულესი და რომანტიკული დრო იყო...

დიახ, დიდი ხნის წინ მინავლებული ეროვნული ნაკვერჩხალი, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას მიერ 70-იან წლებში იქნა გაღვივებული და 80-იანი წლების მეორე ნახევარში იგი ქართველების გულებში აენთო! მთელი რიგი, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, სსრკ-ს რღვევის პროცესი დაწყებული იყო და იგი გარდაუვლად დაიშლებოდა. ეროვნულ -განმათავისუფლებელ მოძრაობას კი, ერთიანი, ჩამოყალიბებული და შეჯერებული გეგმა, პროგრამა ან კონცეფცია, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო დამოუკიდებელი საქართველო, რა სტრატეგია უნდა აერჩია მას, არ გააჩნდა. მეტიც, თავი იჩინა ურთიერთშულღმა და დაპირისპირებამ, რომელმაც შეუძლებელი გახადა ერთსულოვნების მიღწევა ლიდერთა შორის! ამის გამო, ვერ მოხერხდა იმ საფრთხეების თავიდან აცილება, რაც თან ახლავს ასეთი მასშტაბის იმპერიის ნგრევას. ეროვნული მოძრაობის ლიდერების მხრიდან, დაშლის რეჟიმში მყოფ იმპერიასთან თავიდანვე დაპირისპირების რადიკალური გზა იქნა არჩეული, რამაც 9 აპრილის მშვიდობიანი მიტინგის დარბევა და უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლი გამოიწვია... ქართველებმა არ გაითვალიწინეს ის ურთულესი პრობლემა, რასაც ავტონომიური წარმონაქმნებში სეპარატისტების მხარდაჭერის სახით გვიქმნიდა სსრკ-ს ხელმძღვანელობა და მომავალში შეგვიქმნიდნენ რუსეთის მმართველები. დიახ, როდესაც ვამბობ - ქართველებს, - ვგულისხმობ ყველას, ვისი ოცნებაც და მიზანიც საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო! ასეთები კი იყვნენ, როგორც ეროვნულ მოძრაობაში, ისე მთელს ქართულ საზოგადოებაში, მათ შორის ადგილობრივ საბჭოურ სტრუქტურებშიც. ცხადი იყო, რომ იმპერია იშლებოდა და საჭირო იყო კონსოლიდაცია, რათა ყველა ერთად გავმკლავებოდით იმ საფრთხეებს, რაც ახლადშობილ ქართულ სახელმწიფოს შეექმნებოდა, მაგრამ ნაცვლად ამისა, უფრო გაღრმავდა დაპირისპირება ქართველთა შორის, რამაც საუბედუროდ, საბოლოოდ სახელმწიფო გადატრიალებამდე და სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანა!.. იმ დროის საბედისწერო შეცდომებს, დღესაც ვიმკით ქართველები!.. საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას ინიცირებით 31 მარტის რეფერენდუმი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გაიმართა, დღეს ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით, რასაც დიდი პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს!.. დიახ, ეს დღე ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ მოვლენად დარჩება საქართველოს უახლოეს ისტორიაში!!.

ამ ისტორიულ დღეს გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი:

„მინდა, სრული პასუხისმგებლობის გრძნობით განვაცხადო, ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რომ საქართველოს თითოეული მოქალაქის მიერ გამოხატული ნება ბოლომდე აღსრულდეს და საქართველო გახდეს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, სუვერენული, დასავლური, ცივილიზებული სამყაროს წევრი ქვეყანა, - ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მთავრობის დღევანდელ სხდომაზე მნიშვნელოვან თარიღს - 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს.

პრემიერის შეფასებით, ეს იყო უმნიშვნელოვანესი რეფერენდუმი, რომელზეც საქართველოს მოსახლეობამ, ქართველმა ერმა, აფხაზებთან და ოსებთან ერთად, ხმა მისცა და საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის დამოუკიდებლობას.

„ამ პროცესსა და უდიდეს მიღწევას სათავეში ედგა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელსაც დღეს 78 წელი შეუსრულდებოდა. დღეს, როდესაც საქართველო ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს დასავლეთთან ინტეგრაციის მიმართულებით, ეს თარიღი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

მინდა, სრული პასუხისმგებლობის გრძნობით განვაცხადო, ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ საქართველოს თითოეული მოქალაქის მიერ გამოხატული ნება ბოლომდე აღსრულდეს და საქართველო გახდეს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, სუვერენული, დასავლური, ცივილიზებული სამყაროს წევრი ქვეყანა“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

”ზუსტად 26 წლის წინ საქართველოს მოსახლეობამ უპასუხა კითხვას, რომელმაც ქართული სახელმწიფოს ხელახალ დაბადებას ჩაუყარა საფუძველი: “თანახმა ხართ თუ არა, რომ აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის შესაბამისად?“ 1991 წლის 31 მარტს, საყოველთაო სახალხო რეფერენდუმზე დასმულ ამ შეკითხვის პასუხად, საარჩევნო უფლების მქონე მოსახლეობის 98%-მა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას დაუჭირა მხარი. 26 წლის წინ ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ მიუხედავად ყველანაირი წინაღობისა და უამრავი განსაცდელისა, არ დათმობს დამოუკიდებლობას და არ დაუშვებს საკუთარი სახელმწიფოებრიობის შებღალვას.

ეს თარიღი საქართველოს უახლოეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია. პირველ რიგში იმიტომ, რომ 26 წლის წინ რეფერენდუმზე მისულმა მოსახლეობამ ქვეყნის დამოუკიდებლობის სამართლებრივი საფუძველი შექმნა. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მტკიცე ნებაა.

საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის ჩატარების ისტორიული გადაწყვეტილება საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა მიიღო. ზვიად გამსახურდია დღეს 78 წლის გახდებოდა.

ჩემო თანამოქალაქენო, გილოცავთ ამ ისტორიულ დღეს. დარწმუნებული ვარ, რომ მიუხედავად ყველანაირი დაბრკოლებისა და სირთულისა, ჩვენი თავისუფლებისმოყვარე ქვეყანა ისევ იქნება მთლიანი და გააგრძელებს სვლას განვითარებისა და კეთილდღეობისკენ”, - ნათქვამია პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებაში.

გაუპატიურებული თუ გაუჩინარებული ტურისტი?!

საზღაური პატიოსნებისთვის თუ ფულისთვის?

დედოფლისწყაროში მცხოვრებ 36 წლის დავით ლეკაშვილს ჩეხი ტურისტის რენატა ბზეჟინოვას გაუპატიურების საქმეზე სიღნაღის სასამართლომ 6 წლითა და 3 თვით პატიმრობა მიუსაჯა. შემთხვევა გასული წლის ზაფხულში, სიღნაღში მოხდა. დავით ლეკაშვილი გაუპატიურების ბრალდებით პოლიციამ 2016 წლის ივნისში დააკავა. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით ედება, რაც გულისხმობს სქესობრივ კავშირს ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. ჩეხი ტურისტის თქმით, ის ღამით ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ საოჯახო სასტუმროში გააუპატიურეს, სადაც ღამის გასათევად დაბინავდა. საქმეს სიღნაღის რაიონული სასამართლო 9 თვის განმავლობაში დახურულ სხდომაზე იხილავდა.

დავით ლეკაშვილი აგვისტოს ომის მონაწილეა, მთელი ცხოვრება სპორტს და სამხედრო სამსახურს დაუთმო. მისი ფსიქიკა მაღალი რანგის მისიების დროს არაერთხელ შემოწმებულა. სამშვიდობო მისიით ერაყშიც მსახურობდა. მას მოძალადედ არავინ ახასიათებს. მიუხედავად ამგვარი განაჩენისა, სასამართლო განხილვაზეც გამოიკვეთა, რომ ძალადობის კვალი არ ჩანს. გამოძიება ირწმუნება, რომ გოგონა ნასვამი იყო, მამაკაცმა კი მისი უმწეო მდგომარეობით ისარგებლა და სქესობრივი კავშირი დაამყარა. ნიშანდობლივია, რომ ამ დრომდე არ გამოკვლეულა რა სახის თრობა აღენიშნებოდა იმ მომენტში ქალბატონს და ხომ არ იქნა გამოყენებული საძილე, ან სხვა სახის ზემოქმედების საშუალებები.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ლეკაშვილმა სამი ჩეხი ტურისტი გზაზე შემთხვევით გაიცნო, ისინი სიღნაღის დათვალიერებას გეგმავდნენ და დათომ ამაში დახმარება შესთავაზა. სიღნაღის სხვადასხვა კაფეების თანამშრომლები, კვადროციკლის გაქირავების მომსახურე პერსონალი ხაზგასმით ამტკიცებენ, რომ გოგონასა და მამაკაცს ჰარმონიული ურთიერთობა ჰქონდათ და მთელი დღის განმავლობაში მათ კონფლიქტი არ ჰქონიათ:

„100%-ით გეუბნებით, რომ თავად ეს გოგონა ამ ბიჭს კისერზე ეკიდებოდა, კოცნიდა, მეგობრები კი ფოტოებს უღებდნენ და მშვენივრად ერთობოდნენ. არანაირი წინააღმდეგობა არ ჰქონდა, პირიქით გოგონა იჩენდა ყურადღებას მამაკაცის მიმართ. შემდეგ ტურისტები დედოფლისწყაროში წაიყვანა, მწვადი შეუწვა, ასეირნა, ბოლოს კი სიღნაღში საოჯახო სასტუმროში დაბინავა და თავადაც იქ დარჩა,“ – ყვებიან თვითმხილველები.

იმავე სასტუმროში დარჩნენ რენატა ბზეჟინოვას დაქალი და კიდევ ერთი მეგობარი მამაკაციც, თუმცა რენატა დათოსთან ერთად წვება. დილით კი მათი მეგობარი გოგონა ყვირილს იწყებს და პატრულს იძახებს. სასტუმროს პერსონალიც ამბობს, რომ ძალადობის ხმა არ სმენიათ. წნორის „არქიმედეს“ კლინიკაში გადაყვანილი გოგონა უარს აცხადებს ექსპერტიზის ჩატარებაზე. წნორის საავადმყოფოს ექიმი ამბობს, რომ გოგონა ექიმების მიმართ აგრესიული იყო, არ სურდა მისი მდგომარეობა გამოეკვლიათ:

„გასინჯვაზე უარს ამბობდა. წინააღმდეგი იყო, რომ სამედიცინო დახმარება აღმოგვეჩინა. მამაკაც ექიმებთან ურთიერთობაზეც უარი თქვა, შემდეგ ქალბატონი მედიკოსების დახმარებით მოხერხდა მისი გარეგანი დათვალიერება, სხეულზე გარეგანი დაზიანების ნიშნები არ აღენიშნებოდა, იყო მშვიდად. მოხერხდა ჰემოდინამიკური

(გაგრძელება გვ. 7)

ცხოვრებაში ყველაზე დიდი ბედნიერება შვილებია...

სულ რამდენიმე წელია, ისინი ჩვენს რაიონში დამკვიდრდნენ და ამ ცოტა ხნის განმავლობაში თავისი ცხოვრების წესით მოახერხეს, დედოფლისწყაროელების სიყვარული დაემსახურებინათ. მათ დაიმკვიდრეს ლამაზი, ახალგაზრდა ოჯახის სახელი. ზურა ბოჭორიშვილის და მარი ვარსიმაშვილის ოჯახს ჯერ კიდევ მაშინ ვიცნობდი, როდესაც მათ მხოლოდ პირველი შვილი, უმშვენიერესი ქრისტინა ჰყავდათ, და მათი შეხმატკბილებული, ლამაზი და, რაც ყველაზე მთავარია, შრომისმოყვარე ოჯახის მიმართ დიდი პატივისცემით ვიყავი განმსჭვალული. თუმცა, მას შემდეგ, რაც მათ კიდევ ოთხი შვილი შეემატათ, ჩემი სიმპათია ამ ოჯახის მიმართ ათმაგად გაიზარდა. ხუთი შვილი: ქრისტინე, გვანცა, ნატალი, ბარბარე და გიორგი, სულ ყველა კალმით ნახატი, კარგად მოვლილი, ზრდილი, აქტიური, წესიერი, სწავლისთვის მონდომებული... ეს ყოველივე ადვილი საქმე როდია მშობლებისთვის. ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რომელსაც ყველა ოჯახი ვერ იღებს საკუთარ თავზე. ზურამ და მარიმ, სრულიად ახალგაზრდებმა, დაამტკიცეს, რომ სიყვარულზე და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა ყოველთვის მტკიცეა. ამიტომაცაა, რომ მათ სახლში მუდამ სიტკბო და სიხარული ტრიალებს. ჩემი რუბრიკის სტუმარია პროფესიით ექიმი, ხუთი შვილის დედა, მარიამ ვარსიმაშვილი.

– მარი, მოგვიყევი, სად დაიბადე და გაიზარდე...

– დავიბადე დუშეთის რაიონში. ვცხოვრობდით დედა, მამა და ერთი ძმა. მამა მძღოლი იყო, დედა დუშეთის ერთ-ერთ კომპანიაში სპეციალისტად მუშაობდა. ძალიან თბილი მშობლები მყავს, ძალიან კარგად გვექცეოდნენ. ბედნიერი ბავშვობა გვქონდა, არც მდიდრები ვიყავით, მაგარამ არც არაფერი დაგვკლებია. მშობლები თავისუფლად გვზრდიდნენ, არაფერს გვიშლიდნენ, თუმცა მუდმივად ვიცოდით ის ზღვარი, რის იქითაც არ უნდა გადავსულიყავით. უდაოდ დედ-მამის დამსახურებაა, რომ მე და ჩემს ერთადერთ დედმამიშვილს ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და კარგი და-ძმობა გვაქვს. სკოლა დუშეთის რაიონში დავამთავრე. იმავე წელს ჩავაბარე სამედიცინო ინსტიტუტში, სწავლის ბოლო ორი წელი თან ვსწავლობდი, თან სამხედრო კომისარიატში ვმუშაობდი, მერე გავთხოვდი.

– სად გაიცანი მომავალი მეუღლე და როგორ მოხდა თქვენი ოჯახის შექმნა?

– თბილისში გავიცანით ერთმანეთი, როგორც ზურა ყვება, დაქორწინებას არ ვაპირებდიო, მაგრამ როგორც კი დამინახა, თურმე, უფიქრია, მოვიყვანო ცოლს, ამ გოგოს მოვიყვან, თუ არადა, საერთოდ არ დავინიშნებიო. მერე მიყვებოდა, პირველი დანახვის შთაბეჭდილებებს, პირველი ნახვის მერე, როდესაც შენი ხასიათი და ბუნება შევიცანი, ხომ საერთოდ უფრო შემიყვარდიო. აი, ასე სამი წელი ვიცნობდით ერთმანეთს და სამი წლის შემდეგ დავქორწინდით.

– ფიქრობდი, რომ ხუთი შვილი გეყოლებოდა, თუ ეს მერე მოხდა ასე?

– ბავშვობაში ყველა გოგომ ხომ ვიცოდით საუბარი, მეც ვამბობდი ხოლმე, ორი გოგო მინდა მყავდეს, რომ და დისთვის კარგია-მეთქი და ერთიც ბიჭი, თუმცა ხუთი შვილი მყავს დღეს და ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია. შვილები ქალის ყველაზე დიდი ბედნიერებაა.

– რას იტყვი ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაზე ოჯახში?

– კაცს, რა თქმა უნდა, მეტი სიტყვა ეთქმის, რადგან ის შემომტანია ოჯახში და მას ეკისრება პასუხისმგებლობა ძალიან ბევრ რამეზე, მაგრამ ჩვენს ოჯახში ხმამაღალი სიტყვა არ თქმულა, ჩვენ მეგობრები ვართ ერთმანეთისთვის, ერთმანეთის აზრის გაზიარებით, ურთიერთპატივისცემით ვცხოვრობთ. ზურა მე მეკითხება ხოლმე აზრს, მე – ზურას და, გარკვეულწილად, ერთმანეთის რჩევებს ვითვალისწინებთ. ვერ ვიტან მბრძანებლობას და პრინციპებს, და ეს ჩვენს ოჯახში არც არსებობს. მე ქმარი არ მბრძანებლობს, ჩვენ ერთმანეთის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა გვაკავშირებს. ასე, რომ ჩვენთან გენდერული უფლებები დაცულია, თუმცა, რაოდენობრივი ბალანსი – არა, ხუთი ქალბატონი მოვდივართ ორ მამაკაცზე. მოგეხსენებათ ოთხი გოგონა მყავს და ერთი ბიჭი.

– როგორ ფიქრობთ, ოჯახში ბალანსირებულ ურთიერთობას ეკონომიური მხარე განსაზღრავს, თუ წყვილის ინტელექტი?

– ჩემი აზრით, ეკონომიურ მხარეს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახში სტაბილურობის და შეხმატკბილებული ურთიერთობისთვის, მე რომ ვუყურებ ბევრ ოჯახში ეკონომიური მხარე განსაზღრავს სწორედ ოჯახების სიმყარესაც და მათ მშვიდ ცხოვრებას. ჩვენს შემხვევაში მინდა გითხრათ, არასოდეს გვქონია რაიმე ისეთი მწვავე ეკონომიური პრობლემა, თუმცა ყოფილა ისეთი პერიოდები ჩვენს ოჯახშიც, როდესაც ცოტა მქონია, ან სულ არ მქონია, მაგრამ ამას ჩვენი ოჯახური სიმტკიცე კი არ შეურყევია, უფრო განუმტკიცებია, უფრო მეტად გვერდში დავდგომივართ ერთმანეთს, უფრო გაგვიტანია თავი. მინდა გითხრათ და დაგარწმუნოთ, რომ დიდი სიყვარული ყველა პრობლემაზე ძლიერია, ყველა გასაჭირს ამარცხებს. რაც შეეხება ინტელექტს, რა თქმა უნდა, განათლებული და ინტელექტუალური ადამიანები ბევრად უფრო მაღალი შეგნებით ეკიდებიან ურთიერთობებს, ყველაფერს აკეთებენ, რომ მოუფრთხილდნენ და შეინარჩუნონ კარგი, ლამაზი ოჯახები, თუმცა მთლად ამასაც ვერ ვიტყვი. მე ძალიან ბევრი უბრალო ოჯახიც მინახავს, გაჭირვებით რომ ცხოვრობენ და უდიდესი სიმტკიცე და ჰარმონია დამინახავს მათ ოჯახებში. ისეთი ოჯახებიც ვიცი, განათლებულები რომ არიან მეუღლეები, ეკონომიურადაც ძლიერი ზურგი აქვთ, თუმცა მათ ოჯახებში სულ აურზაური და კამათია. ეს ადამიანის შეგნებაზეა დამოკიდებული.

– ხუთი შვილი გყავს, როგორია თქვენი დილა, ხუთივე ბავშვის მომზადება, კვება, ყველას სხვადასხვა მოთხოვნები და ხასიათის თვისებები ექნება, როგორ ახერხებ ამას?

– მართლაც, ხუთიდან ყველას სხვადასხვა ხასიათი აქვს, მაგრამ თითოეულის ხასიათი შესწავლილი მაქვს და თუ კარგი დედა ხარ, უნდა მოახერხო, ყველას შეუწყო ხელი. დილა მართლაც ძალიან დატვირთული მაქვს, კვება, სკოლაში, ბაღში მათი გამგზავრება, ეს ძალიან რთულია, მაგრამ ზურა მეხმარება, როდესაც ის არაა სახლში, მაშინ უფროსები ცდილობენ პატარების მომზადებაში მომეხმარნენ.

– თქვენ, ყოველდღიურობა და მანქანა...

– მანქანის ტარება სწორედ მაშინ ვისწავლე, როდესაც მისი აუცილებლობა დადგა დღის წესრიგში, აი, ასეთმა გადატვირთულმა დღის რეჟიმმა დაგვანახა, რომ მანქანა აუცილებლად უნდა მემართა. ხშირად ხდება, რომ მეუღლე ორი- სამი დღით წასულია, მე ფეხით რომ ვიარო ბაზარში, სკოლასა თუ ბაღში, ალბათ წარმოუდგენელი იქნებოდა. ის აუცილებლობაა ქალისთვის, მით უმეტეს იმ დედისთვის, ვისაც ბევრი შვილი ჰყავს. ამიტომ მალევე ავითვისე მანქანის მართვა და და მიყიდა კიდეც მეუღლემ.

– ხუთი შვილი გყავს, ხუთივეს გინდა შეუქმნა კარგი მომავალი, კარგად აღზარდო, კარგ აღზრდაში შედის ისიც, რომ აზიარო ისინი კულტურას. . რამდენად ხშირად დაგყავს შვილები თეატრში?

– სამწუხაროდ, პატარა ბავშვების თანხლებით თბილისში სიარული საკმაოდ შრომატევადია. ამიტომ ხშირად ვერ დამყავს, თუმცა, ზამთრის და ზაფხულის არდადეგებზე ვცდილობ, ვაზიარო ისინი კულტურას. შეძლებისდაგვარად დამყავს ყველგან-არც ზღვა დამიკლია მათთვის, არც პარკი, არც ჰაერი, არც ცირკი და თეატრი.

– ამასთან ერთად, მე ვიცი, რომ ყველა შვილი, რომელიც უკვე სკოლაში დადის, ცეკვაზეც დაგყავს, ხატვაზეც, მუსიკაზეც და სხვადასხვა წრეებსაც არ აკლებ, როგორ სწვდები ყოველივეს?

– ჩემთვის და ზურასთვის მთავარია, ჩვენს შვილებს მივცეთ კარგი განათლება და სწორ გზაზე დავაყენოთ, შესაძლოა ახლა სწავლა ეზარებოდეთ, მაგრამ წლების მერე მადლობას გვეტყვიან. არც ერთ შვილს არ ვაკლებთ რაიმე წრეზე, რაზეც კი სურვილი აქვთ, სიარულის საშუალებას. საერთოდ ასე მესმის, თუ გაბედე და გყავს ამდენი შვილი, მაშინ საცოდაობა იქნება რომელიმეს რაიმეზე სიარულის სურვილი წაართვა, იმის საშუალებაც უნდა გამონახო, რომ არცერთს არ მოაკლო მუსიკაზე თუ ცეკვაზე სიარულის უფლება. მადლობა უფალს, ჯერ-ჯერობით ამ ყველაფერს ვწვდებით და იმედი მაქვს, არც მომავალში მოგვაკლებს ამის შეძლებას ღმერთი.

– მარი, შენ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმი იყავი, შვილების გამო მიატოვე შენი სამსახური, არ გიჭირს ამასთან შეგუება?

– არა, იმდენად მიყვარს შვილები, რომ ამათზე კარგებთან ვისთანღა უნდა მომიწიოს ურთიერთობა. ზოგი ისეთი გადარეული და შეუგნებელი პაციენტი შეგვხვდებოდა ხოლმე და ისეთ პრეტენზიებს ვისმენდით მათგან, ღირს კი, მათ მოვახმარო ჩემი ნერვები და ამის ფასად შვილები მარტო დატოვო? -საუბარიც ზედმეტია იმაზე, რომ არაფერი შეედრება შვილების ფასს. შვილებზე მეტი სიმდიდრე რა არის ქვეყანაზე, ვერანაირი სამსახური, ვერანაირი სიმდიდრე, ფუფუნება და თანამდებობა შვილებთან ვერ მოვა. ეს ყველაფერი წარმავალია. რამდენზე გამიგია, რომ სამსახურის გამო არ გავაჩენ, რომ სამსახური არ დავკარგოო -ეგ აზრი ძალიან დიდი სისულელე მგონია და ყოველგვარ სიბრძნეს მოკლებულია. მე სახლში უფროსი დიასახლისი რომ მყავდეს, კიდევ ვიფიქრებდი მუშაობაზე, მაგრამ მარტოხელა დედისთვის ძნელია. ბავშვები სკოლიდან მოდიან, დახვედრა უნდათ, ჭამა უნდათ, გარდა ამისა, ჩვენ ეკონომიურადაც არ გვიჭირს, რომ მაგის გულისთვის გავიდე, ვიმუშავო, რათა ორი კაპიკი შემოვიტანო სახლში, ჩემი სამუშაო ჩემი შვილებია და მათ ზრუნვაზე კარგს ვერცერთ სამსახურში ყოფნით ვერ გავაკეთებდი.

– მიუხედავად იმისა, რომ ხუთი შვილის დედა ხარ, მუდამ ფორმაში ხარ, როგორ ახერხებ ამას?

– პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, დიეტაზე არ ვარ, რომ გითხრა თავს ვუვლი და ამისთვის მცალია, მოგატყუებ, ბუნებრივად ვარ, რაც ვარ, ალბათ გენეტიკა თამაშობს დიდ როლს. ისე, ბუნებრიობა იქით იყოს და ჩემს მეუღლეს უყვარს, როდესაც ქალი დილიდანვე თავის თავს უთმობს დროს, სახეზეც ისვამს და თვალსაც იღებავს, რომლის დროც ხანდახან არ მაქვს.

– მარი, თითქმის ყველაფერზე ვისაუბრეთ, მაგრამ მთავარი მაინც არ გვითქვამს, რა შემთხვევაში არის ქალი ბედნიერი და რა არის ქალის ბედნიერებისთვის საჭირო?

– ქალის ბედნიერებისთვის ჯერ შვილებია, ისინი უნდა გყავდეს კარგად და შემდეგ კარგი ქმარი უნდა გყავდეს, ოჯახში როცა მეუღლე გაფასებს, პატივს გცემს, შენს ყველა სურვილს ასრულებს და შვილებს არაფერი აკლია, მაგაზე დიდი ბედნიოერება არაფერია. მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გადასარევი ქმარი მყავს, ბევრჯერ ჩემი სურვილის გამო, აუცილებელი საქმე მიუტოვებია, დაუთმია ყველაფერი და ჩემი სურვილი აუსრულებია, როდესაც მეხუთზე ორსულად ვიყავი, მშობლებთან სტუმრად წასვლა მინდოდა, მაგრამ მანქანით მარტო ვერ გავბედავდი წასვლას, უკვე დიდი მუცელი მქონდა, მიატოვა ყველაფერი, დაჯდა და წამიყვანა, რომ ჩემთვის არ ეწყენინებინა. აი, ასეთი ქმარი მყავს. ამას წინათ ბაზრობაზე წაგვიყვანა ზურამ, ცოტა შეუძლოდ იყო, თავი სტკიოდა და ვერ გადმოვიდა მანქანიდან, ავდექი და ხუთივე ბავშვი გადავიყვანე. რომ დავდიოდით, ყველა ჩვენ გვიყურებდა, შვილო, ყოჩაღ შენ, რომ ხუთი შვილის დედა ხარ, ალბათ კარგი ქმარი გყავსო, მივუბრუნდი და ვუთხარი-აბა, კარგი ქმარი რომ არ მყავდეს, ხუთს კი არ გავაჩენდი, ერთს გავაჩენდი, ჰა, ჰა, ორს და გავჩერდებოდი -მეთქი.- ასეა, მე რომ ხუთი შვილი მყავს, ჩემი ქმრის კარგი კაცობის დამსახურებაა. ის რომ არაფერს აკლებს თავის შვილებს, ამან გამაბედინა ამდენი, თორემ ისე ხომ ვერ გავბედავდი.

– რას ვერ აპატიებ ქალს, დიასახლისს, დედას?

– ადამიანს ზემოდან არ უნდა დახედო, შენი მდგომარეობით არ უნდა იმსჯელო არასოდეს, ვერც მოუწესრიგებლობას ვაპატიებდი ქალს, რაც არ უნდა ძველი და მოდაგასული ჩააცვა ბავშვს, სუფთად უნდა ეცვას, გულმიუსვლელს ვერც ბავშვს ვიტან და ვერც დედას. დასვრილი არაფერი მხიბლავს, ყველაფერს შეიძლება ვუღალატო, ყველაფერი შეიძლება არ გავაკეთო, მაგრამ ბავშვის სისუფთავეს ვერ ვუღალატებ.

– და ბოლოს, 5 შვილს უზრდით სამშობლოს, სიტყვა გეთქმით და შეგიძლიათ გამოთქვა აზრი, როგორ საქართველოში ხედავ შენი შვილების მომავალს?

– პირველ რიგში მშვიდობიან საქართველოში ვისურვებდი შვილების მომავალს, რადგან იქ, სადაც მშვიდობა არაა, საშინელებაა სიცოცხლის წარმოდგენა, მე მინდა, რომ ჩემმა შვილებმა მშვიდ, წყნარ ქვეყანაში იცხოვრონ. იმედი მაქვს, სანამ ესენი დაიზრდებიან, ყველაფერი გამოსწორდება ქვეყანაში, ცოდნა კიდევ უფრო მეტად დაფასდება და ჩემი შვილები შეძლებენ თავისი ცოდნით მიაღწიონ ყველაფერს. ძალიან მომწონს წარმატებული, ძლიერი, ლიდერი ქალების როლი ქვეყნის აღმშენებლობაში და ვისურვებდი, ძლიერ ქალებად და ვაჟკაცად აღმეზარდოს ისინი.

– დიდი მადლობა, რომ ასეთმა დატვირთულმა დედამ ჩემთვის დრო გამონახეთ და მესაუბრეთ, წარმატება და ყოველმხრივ გაძლიერება მინდა ვუსურვო თქვენს ოჯახს.

– მადლობა თქვენს გაზეთს, რომ დააფასეთ ჩვენი მრავალრიცხოვანი ოჯახი და შეგვნიშნეთ.

ლალი მეხრიშვილი

ელია თეზბიტელის დაზიანებული ტაძრის რესტავრაციაზე იმსჯელეს



დედოფლისწყაროში, ელიას მთაზე ქვათაცვენის პროცესი გააქტიურებულია და მთის მასივი იშლება. მიზეზი ბუნებრივი პირობები და ქანების სპეციფიური შემადგენლობაა. კლდეზე გაჩენილი ნაპრალები საფრთხეს უქმნის მე-5 საუკუნის ნატაძრალზე 8 წლის წინ რესტავრირებულ, წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის ეკლესიას, მონასტერსა და ტაძარში მოსულ მომლოცველებს.

28 მარტს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილეები პაატა გაფრინდაშვილი და ნუგზარ ყიფიანი, გარემოს დაცვის სააგენტოს სტიქიური პროცესებისა და საინჟინრო გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსთან, მერაბ გაფრინდაშვილთან, გეოლოგებთან და კონსტრუქტორებთან ერთად, ელიას მთაზე იმყოფებოდნენ. მათ დედოფლისწყაროს გამგებელს, რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს ირაკლი შიოლაშვილს, გუბერნატორის მოადგილეს გივი მეტრეველსა და ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსს, მეუფე დიმიტრის გეოლოგების მიერ ელიას მთის კვლევის პირველადი, ვიზუალური დასკვნა გააცნეს, რომელშიც ნათქვამია, რომ მთის ქანების შემადგენლობიდან გამომდინარე, მისი ჩამოშლისა და ტაძრის დაზიანების საშიშროება რეალურია. შემდეგი ეტაპი გეოლოგების მიერ ლაბორატორიული კვლევების ჩატარებაა, რათა დადგინდეს, დასაშვებია თუ არა, და რა მეთოდოლოგიითაა შესაძლებელი, კლდის გამაგრებითი სამუშაოების წარმოება. მომავალი სამოქმედო გეგმა სრულადაა დამოკიდებული გეოლოგების მიერ გაცემულ დასკვნაზე.

სამუშაო შეხვედრაზე გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა ელიის მთაზე მდებარე ტაძრის აღდგენაზე იმსჯელეს. გაცნობებთ, რომ შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელმაც შეისწავლა ქანების გეოლოგიური აგებულება, მოამზადებს დასკვნას და დაზიანებული ტაძრის რესტავრაციასთან დაკავშირებით კონკრეტულ გადაწყვეტილებებს მიიღებს. მსჯელობა დედოფლისწყაროს გამგეობის ადმინისტრაციულ ორგანოშიც გაგრძელდა.

ელიას მთა და წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის ეკლესია დედოფლისწყაროს მოსახლეობის მთავარი სალოცავია. ამ ადგილას, მე-5 საუკუნეში, აგებული იყო ტაძარი, რომელიც, სავარაუდოდ, მკაცრი კლიმატური პირობების გამო დაინგრა - ეს მხარე ცნობილია კირქვის შემცველი, რბილი კლდოვანი ქანებით. აგრეთვე, მუდმივად ქარის ქარი, რომელიც აშრობს და ფიტავს ქანებს. 8 წლის წინ, ელიას მთის ნატაძრალზე, დედოფლისწყაროს მოსახლეობის ინიციატივითა და მონაწილეობით კვლავ აიგო ეკლესია. განახლდა სამონასტრო ცხოვრება. ყოველ 2 აგვისტოს მომლოცველები იკრიბებიან ამ ადგილას, აღნიშნავენ ელიაობის დღესასწაულს და აღევლინება წირვა.

არა – ამპარტავნებას, არა – დაცინვას, არა – მიუტევებლობას!...

გაზაფხულის ულამაზეს დღეს 31 მარტს N1 საჯარო სკოლის მესამე ბ კლასში ასეთივე ულამაზესი განწყობით შეხვდნენ.ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილს დაწყებითი განათლების პედაგოგი ზეინაბ პოპიაშვილი მისთვის დამახასიათებელი შემართებითა და მოსწავლეების მიმართ დიდი სიყვარულით უძღვებოდა. ვინ მოთვლის, ეს მერამდენე გამოსაშვებია მისთვის, თუმცა, წლების მატებასთან იზრდება გამოცდილებაც და სწავლების ხარისხიც, რაშიც თითოეული მშობელი ჩვენი შვილების ცოდნის დონის მიხედვით ვრწმუნდებით.

ღია გაკვეთილი „ყვავილების ნადიმი“ თემატურად შეესაბამებოდა გაზაფხულის შემობრძანებას. ლუარსაბ ბოცვაძის მოთხრობაში განსულიერებულია გაზაფხულის ყვავილები:ვარდი, სუმბული, მიხაკი,შროშანი,იასამანი,ია,ზამბახი და სხვანი,ისინი სასახლეში ნადიმს მართავენ და ამ ნადიმზე გადმოგვცემს ავტორი მთავარ სათქმელს, თუ რომელი ყვავილი როგორი სილამაზისაა, რა თვისებები ახასიათებს თითოეულ მათგანს, რის მიხედვით არიან უფრო თავმდაბალნი და უფრო ამპარტავანნი, რის ნიჭით არის დაჯილდოვებული თითოეული მათგანი. ყვავილების დახასიათების მიხედვით კი პედაგოგი ასწავლის ბავშვებს, თუ რატომ არ უნდა იყვნენ ამპარტავანნი, რატომ არ უნდა დასცინონ თანატოლებს, ისევე, როგორც დასცინა ვარდმა ყვითელ ყვავილს და სამაგიეროდ, რომ უნდა იყვნენ თავმდაბალნი,ისეთივე მიმტევებელნი, როგორც მიუტევა ყვითელმა, უსუნო ყვავილმა ულამაზეს ზამბახს.

ყვავილების ფორმებში გამოწყობილმა მესამეკლასელებმა სრული სიზუსტით განასახიერეს თითოეული ყვავილი,შემდეგ „ნადიმის“ მიხედვით იცეკვეს, იმღერეს და გაკვეთილს შოუს ელემენტები შესძინეს. არც გრამატიკული ნაწილი აკლდა ღია მეცადინეობას, სადაც ბავშვებმა წყვილ-წყვილად იმუშავეს და მიცემულ დავალებას წარმატებით გაართვეს თავი.

ერთი შეხედვით ერთ პატარა მოთხრობაზე აგებული ღია მეცადინეობა მრავლისმიმცემი იყო ჩვენი ბავშვებისთვის, მათ ამ ყვავილების მაგალითზე პედაგოგმა კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ არ უნდა იყვნენ ამპარტავანნი, მიუტევებელნი, არ უნდა დასცინონ მეგობრებს. ამისთვის არც „ელამი კატოს“ გახსენება დავიწყებიათ.

საგაკვეთილო ღონისძიებას პედაგოგები და მოსწავლეთა მშობლები ესწრებოდნენ.

ელზა ხარაშვილი

ერთი დღე სათნოების სახლში...

31 მარტს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გამართა სათნოების სახლ“სავანეში“. ღონისძიების ორგანიზატორებმა - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა თამარ ლაპიაშვილმა და შემოქმედებითი წრის ხელმძღვანელმა ნინო სიფრაშვილმა ქალაქისა და სოფელ სამრეკლოს მოსწავლეებთან ერთად ერთი სამახსოვრო დღე აჩუქეს სათნოების სახლის ბენეფიციარებს. მოსწავლეებმა:მარი გურაშვილმა,გიორგი გონაშვილმა, ნიკა გიგოლაშვილმა, ლილე ლეკაშვილმა, ზურა ქადაგიძემ, ნიკოლოზ ჯინაშვილმა, ლუკა ზურიკაშვილმა და სხვებმა უამრავი ლექსი თუ სიმღერა მიუძღვნეს მოხუცებს გაზაფხულზე, შემდეგ კი ყვავილების თაიგულები ჩამოურიგეს საჩუქრად. იქ შექმნილ სასიამოვნო განწყობას სიმღერებით შეუერთდნენ პედაგოგები:შორენა ასანიშვილი, მზია წყარუაშვილი და თამარ აბულაძე. მათ მიერ ფანდურზე შესრულებულმა სიმღერებმა კიდევ უფრო გაახალისა იქ მყოფნი. აქცია-კონცერტის დასასრულს მონაწილეებმა:ლიზი ყოჩიაშვილმა, ლალიანა უთრუთაშვილმა, მილენა კასიანოვამ,ლიზი და ნატალი ცქიტიშვილებმა,თეკლე ზურიკაშვილმა,მარი გონაშვილმა, თამთა ჭიკაიძემ, ნატალი და სალომე ბაცაცაშვილებმა, სალომე ხარაშვილმა და ანა ფიროსმანაშვილმა თავაინთი ხელით მოქსოვილი თექის ფაჩუჩები შოკოლადებთან ერთად საჩუქრად ჩამოურიგეს სათნოების სახლის წევრებს.

ბენეფიციარებმა და სათნოების სახლის დირექტორმა მარინა ტოკლიკიშვილმა ლამაზი ღონისძიების მოწყობისა და საჩუქრებისთვის მადლობა გადაუხადეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეებს და პედაგოგებს.

ელზა ხარაშვილი

გაუპატიურებული თუ გაუჩინარებული ტურისტი?!

(მეოთხე გვერდიდან)

მოძალადე და მსხვერპლი: შემთხვევის დღეს გადაღებული ფოტოები

მონაცემების შემოწმებაც, რომელიც აბსოლუტურად ნორმაში იყო. სასწრაფოს ექიმების გადმოცემით ქალბატონი იყო ნასვამ მდგომარეობაში და წინააღმდეგობას უწევდა სასწრაფოს ექიმებსაც." - აცხადებენ წნორის „არქიმედეს" კლინიკაში.

ექსპერტიზის დასკვნა: **„შემოწმებისას სხეულზე გარეგნულად მექანიკური დაზიანების რაიმე ობიექტური ნიშნები არ აღინიშნება. საქალწულე აპკის მთლიანობა დარღვეულია, თუმცა დარღვევის ხანდაზმულობის და პერიოდის განსაზღვრა ექსპერტიზას არ შეუძლია, ვინაიდან გასულია ორ კვირაზე მეტი დრო. გაუპატიურების ფაქტის დადგენა არ შედის სასამართლო სამედიცინო ექსპერტის კომპეტენციაში."**

დაკავებულის ადვოკატი ამბობს, რომ საქმეში არანაირი მტკიცებულება არ დევს, რაც დაზარალებულის უმწეობაზე მიანიშნებს. ***ის, რომ გამოძიებას სათანადო მტკიცებულებები არ აქვს, ეს თავად დაზარალებულის მიზეზით მოხდა, რადგან ის დროზე ადრე დაბრუნდა სამშობლოში, ისე რომ სათანადო კვლევები არ ჩატარებია და არც მას შემდეგ უთანამშრომლია გამოძიებასთან.***

ზურაბ ბეგიაშვილი (ადვოკატი): „ეს გადაწყვეტილება არის უკანონო. ვთვლით, რომ სამართლებრივად სწორი არ არის და მტკიცებულებებით გამყარებული არ არის. აბსურდული ბრალდებაა და ცილისწამებას ჰქონდა ადგილი გამოცდილი სამხედრო ვეტერანის მიმართ, რომელიც საქართველოსთვის იბრძოდა, სხვადასხვა მისიაში მონაწილეობდა და სამშობლოს ყოველთვის გვერდით ედგა. ქართულმა სახელმწიფომ მას ძალიან ცუდი საზღაური გადაუხადა. დაზარალებული იყო თუ არა უმწეო მდგომარეობაში, ცალსახად არ არის დადგენილი. იმისთვის, რომ გამოეკვლიათ ქალბატონის სხეულში ალკოჰოლის ოდენობა, ან რაიმე სხვა ნივთიერების ან მოწამვლის კვალი, არ ჩატარებულა შესაბამისი ექსპერტიზა, რაც პირველ რიგში უნდა მომხდარიყო. პარადოქსულია, რომ დაზარალებულის დასკვნა არ არსებობს, არადა, ასეთ შემთხვევებში ყოველთვის ხდება შესწავლა. ჩვენების მიცემისთანავე სამივე ტურისტმა დატოვა საქართველო და გაემგზავრა, თუმცა შეეძლოთ კიდევ რამდენიმე დღე დარჩენილიყვნენ და გამოძიებისთვის ხელი შეეწყოთ. ეს მათ ინტერესშიც შედიოდა, თუმცა არ თანამშრომლობდნენ გამოძიებასთან.

მზია ალადაშვილი (დაკავებულის დედა): **„უმორჩილესად გთხოვთ ყველას, დამეხმაროთ სიმართლის დადგენაში და სამშობლოსთვის მებრძოლი შვილის ღირსების აღდგენაში. ესაა ჩვენთვის ყველაზე მთავარი. ჩეხეთის საელჩოსთან ასეთი მოთხოვნა გვაქვს, მოძებნონ ავანტიურისტი ტურისტი, რომელმაც ჩემს შვილს ცილი დასწამა. მოძებნონ და ჩამოიყვანონ ის ქალბატონი, რათა მოხდეს მისი დაკითხვა და საქმის დეტალების გარკვევა. ეს ჩვენი ქვეყნის ღირსების საქმეა.** მივმართავ სიღნაღის სასამართლოს, ხელახლა განიხილონ საქმე და ნუ დაითრგუნებიან, გამოიტანონ სამართლიანი გადაწყვეტილება. ჩვენ იმაზე არ ვდარდობთ, რამდენი წელი მიესაჯა ომის ვეტერანს, დავით ლეკაშვილს, რომელიც დაკავების მომენტში საქართველოს საზღვრებს იცავდა. ჩვენ ვაპროტესტებთ დაუმსახურებელი და ყოვლად უსამართლო იარლიყის ტარებას, ჩვენ არ ვჩერდებით და ბრძოლას ვაგრძელებთ".

ზურაბ ბეგიაშვილი: არაერთხელ მოვითხოვეთ პროცესი გაეხსნათ, მაგრამ დახურულ რეჟიმში განიხილებოდა. რეკორდი მოხსნა სასამართლომ და არცერთი ჩვენი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. პროკურატურამ არ დაკითხა არცერთი ისეთი მოწმე, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ მთელი დღის განმავლობაში წყვილს ერთად ხედავდნენ და არავის არ შეუმჩნევია მათთვის კონფლიქტი, ყველა მათგანი ამბობს, რომ მათი ქცევა იყო ჰარმონიული და გოგონა თბილად ეპყრობოდა დავითს. სურათებსაც მათივე სურვილით იღებდნენ და სხვათაშორის ეს ფოტოები მათი თანმხლები ჩეხი მამაკაცის მიერაა გადაღებული. თავდაპირველად მათ უარყვეს, რომ მოგზაუროზისას დავითთან ფოტოებს ჰარმონიულად ილებდნენ. თუმცა შემდეგ წარკუდგინე და მოიმიზეზეს, რომ ენა არ ესმოდათ და ამიტომ ვერ გაიგეს შეკითხვა, არადა წინა დღეებში დათოსთან სულ რუსულად ურთიერთობდნენ და მშვენივრად ესმოდათ. მოწმეები გაფრთხილებული ჰყავდათ, რომ დღის განმავლობაში მათი კარგი ურთიერთობის შესახებ ყურადღება არ გამახვილებინათ. ჩვენს მიერ მითითებული მოწმეები და სექსოლოგები, რომლებიც სამედიცინო თვალსაზრისით ახსნიდნენ, სასამართლომ არ დაკითხა. ძალიან დამამცირებელი და უცნაურია, რომ სასამართლო არ დაინტერესდა ეს დეტალები სპეციალისტებთან გამოეკვლია. უნდა მომხდარიყო საკითხის ანალიზი არა მხოლოდ იურიდიულად, არამედ სამედიცინო თვალსაზრისითაც. საქმეში გამოკვეთეს, თითქოს დავითს ინტერესი ჰქონდა და ტურისტებს სიღნაღში გადაადგილებაში ხელს უშლიდა, არადა, პირიქით. დავითი დაატარებდა ყველგან, ასეირნა კვადროციკლით და შემდეგ თავისივე მანქანით, ჩაიყვანა დედოფლისწყაროში, თავის სახლში, მამამისთან ერთად მწვადი შეუწვა და შემდეგ ღამით ისევ სიღნაღში დააბრუნა. ყველაზე მთავარი ისაა, რომ თუკი ისინი რაიმე სახის საფრთხეს გრძნობდნენ, ამ შემთხვევაში დათოს მათთან ერთად არ დატოვებდნენ, ან კარს საგულდაგულოდ დაკეტავდნენ. გაირკვა, რომ საკეტი ღია იყო და არც გვერდით ოთახში არ გაუგია ვინმეს ძალადობის ხმა. როდესაც გათენდა, მეგობარმა გოგონამ დაიწყო ყვირილი და პატრულს დაურეკა. ამ დროს კი რენატა თავს იმართლებდა, რომ ეძინა და არაფერი ახსოვს. რამდენჯერმე გაიმეორა, რომ ეძინა, რითაც ალიბის შექმნას ცდილობდა. უამრავი წინააღმდეგობა ჩვენებებში და ბევრი სიცრუე წერია. ამიტომაც არ ჩამოვიდნენ სასამართლო სხდომებზე და თავი აარიდეს ხელახალ დაკითხვებს, რადგან ტყუილი ჩვენებები მალე გაქარწყლდებოდა. სასამართოზე რომ ჩამოსულიყვნენ, ანალიზის შედეგად ისეთ კითხვებს დავუსვამდით, რომ ნამდვილად ჩაიჭრებოდნენ და ამას აარიდეს თავი. პროკურატურა იძულებული იყო დაყრდნობოდა თავდაპირველ ჩვენებებს. პროკურატურა როცა მიხვდა, რომ საქმის მსვლელობისთვის მათთვის არასასურველი იქნებოდა ზოგიერთი ჩვენება, ამიტომ ყველა ასეთი მოწმე ამოაგდეს და აღარ დაკითხეს. პროკურატურა ცდილობდა სასამართლოზე შეექმნა წარმოდგენა, რომ დაზარალებული ვერ შეძლებდა საქართველოში ჩამოსვლას და სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას. ჩვენთვის საეჭვო გარემოებაა ისიც, რომ გოგონები დროზე ადრე წავიდნენ საქართველოდან. დაზარალებულს შეეძლო რამდენიმე დღე კიდევ დარჩენილიყო, გამოძიებასთანაც ეთანამშრომლა და ყველა სახის ექსპერტიზა ჩაეტარებინა. დაუყოვნებლივ წასვლით მათ პასუხგაუცემელი კითხვები დატოვეს და კიდევ რომ დარჩენილიყვნენ, ცხადია, ჩვენ აუცილებლად მოვითხოვდით ყველანაირ გამოკვლევას. თუკი ფიზიკური ნების საწინააღმდეგოდ განხორციელდა სქესობრივი აქტი, შეუძლებელია ასეთ დროს სხეულზე რაიმე სახის დაზიანებები არ ყოფილიყო, ან არ გაეგოთ ეს იმავე ოთახში, ან სხვა ოთახებში მყოფებს.

– აბა რას ეყრდნობა სასამართლო, როცა მის უმწეო ვითარებაში ყოფნას იზიარებს?

– უმწეობა უნდა გამოიკვეთოს სათანადო სპეციალიზებული ექსპერტიზის დასკვნით, რაც საქმეში არ დევს. ამასთან, ეს გოგონა არის სპორტსმენი. მორბენალი და ფრენბურთელია, კარგად შეეძლო წინააღმდეგობის განევა, თუკი ამას მოისურვებდა.

– რა ინტერესი არსებობდა ამ საქმეში, რომ სათანადო მტკიცებულებების გარეშე დავით ლეკაშვილი პატიმრობაში დარჩენილიყო?

– დავითის დაკავებას პირველ ეტაპზე არავინ არ აპირებდა. როდესაც გოგონები თბილისში წავიდნენ, როგორც ჩანს ჩეხეთის საელჩოს დაუკავშირდნენ და საელჩომ მთელი თავისი ძალისხმევა დახარჯა იმისათვის, რომ ხმაური აეტეხა. როგორც ჩანს მათ პროკურატურაში დარეკეს, რომ რეაგირება მკაცრი ყოფილიყო. ჩეხეთის საელჩოც ადასტურებს, რომ მათ აქტიურად დაიწყეს მოქმედებები. დაიქირავეს თარჯიმანი, ამ ხნის განმავლობაში საკონსულოს წარმომადგენლები დადიოდნენ და ლობირებდნენ ამ საქმეს. ეს დაზარალებულების დაცვა კი არ იყო, ეს იყო საელჩოს მხრიდან შეტევა პროკურატურაზე.

– გაჩნდა მოსაზრება, რომ მათ სამოგზაურო დაზღვევა ჰქონდათ და შესაძლოა ამით ტურისტებმა კომპენსაცია მიიღეს. იქნებ სწორედ ფინანსური ინტერესის გამო ატეხეს ხმაური?

– გაირკვა, რომ სამივე ტურისტი სადაზღვევო კომპანიის თანამშრომელია, რაზეც სასამართლო განხილვისას ყურადღება აღარ გამახვილებულა. **სამოგზაურო დაზღვევა შესაძლებელია გულისხმობდეს როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობის დაზღვევას, ისე სექსუალური რისკების და ხელშეუხებლობის საკითხსაც. სწორედ ეს გარემოება შეიძლება გამოიყენონ მათ და ნებისმიერ დროს საქართველოს უჩივლონ, რომ ამ ქვეყანამ ვერ უზრუნველყო მათი დაცვა სქესობრივი ხელშეუხებლობის კუთხით.** ეს კი საქართველოსთვის ძალიან დიდი ლაქა იქნება, რომ ტურისტების ინტერესი არ იქნა დაცული. თუმცა ეს ასე არ ყოფილა და ყველაფერი იყო ინსპირირებული.

– ამბობთ, რომ საელჩოს ჩარევის შემდეგ პროკურატურა უფრო მკაცრი გახდა დაკავებულის მიმართ, მას შემდეგ საელჩო რამდენად დაინტერესდა სასამართლოს მსვლელობით?

– საპროცესო მოქმედების შესრულებაში მათი თანამშრომლები მონაწილეობდნენ. საკონსულოს თანამშრომლები დაკითხვისას ამბობდნენ, რომ კონსული აქტიურად იყო ჩართული და პოლიციას დაჰყვებოდა. ამან კი საქმის რეზონანსი გამოიწვია და გარკვეულწილად ეს აღიქმება, როგორც ზეწოლა პროკურატურაზე, რომ მათ სხვაგვარად ემოქმედათ. ეს ყველაფერი მაშინ, როცა დათოს დაკავებისას ადვოკატიც არ დაუნიშნეს და აბსოლუტურად მოკლებული იყო საკუთარი უფლებების დაცვას. უკანონოდ და დარღვევებით დააკავეს. არ განუმარტეს, რატომ აკავებდნენ. საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების უგულებელყოფა მოხდა. ავტომანქანაში მოტყუებით ჩასვეს და ისე წამოიყვანეს თბილისიდან სიღნაღში, რომ მან არც კი იცოდა დაკავების შესახებ. აქედანვე ეს საქმე იყო განწირული. ნებისმიერი გამოძიება, რომელიც დარღვევებითაა წარმოებული, ყველა მტკიცებულების გაბათილებას იწვევს.

– მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულს გამოკვლევების დიდი ნაწილი არ ჩაუტარებია და დასკვნები არ არსებობს, განაჩენი გამოტანილია, უკვე მისჯილია ექვსწლიანი პატიმრობა, ოჯახის პოზიცია გვითხარით, რას აპირებთ ახლა?

– ბრძოლას ვაგრძელებთ. გასაჩივრებას ყველა ინსტანციაში ვგეგმავთ საქართველოში, შემდეგ კი თუ სამართალს ვერ ვიპოვით, აუცილებლად წავალთ ევროსასამართლოში. სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში მინდა რომ საქმე კოლეგიურად რამდენიმე მოსამართლემ განიხილოს. ასეთი პრაქტიკა უკვე არსებობს და მინდა კომპლექსურად მიუდგნენ მოსამართლეები. მინდა რომ განხილვაში ჩაერთონ ძლიერი იურისტები და ყველაფერი დეტალურად გამოიკვლიონ. დარწმუნებული ვარ,ნებისმიერ ცივილურ ქვეყანაში ასეთი საქმე გამამართლებელი განაჩენით დასრულდება. დათო ღირსეული მამაკაცია, მთელი ცხოვრება სამშობლოს ემსახურა. არცერთი შეცდომა არ დაუშვია სამხედრო მისიებში, ყველა ტიპის ფსიქოლოგიური ტესტირება გავლილი აქვს და მოძალადე ადამიანი ასეთი წარმატებული ვერ იქნებოდა. იმ დროს როდესაც მის გამოცდილებას ჩვენი ქვეყანა თავის სასიკეთოდ უნდა იყენებდეს, მას ექვსი წლით ციხეში ტოვებს.

ილია მარტყოფლიშვილი

ხსოვნა

მერი ჩუთლაშვილი



ჩვენს შორის ცხოვრობდა და მუშაობდა ქალბატონი მერი, უაღრესად ერუდირებული და თავდაჭერილი ადამიანი. ის იყო საუკეთესო მეგობარი, პედაგოგი.

ჩვენო საყვარელო მერი მასწავლებელო, მოვიდა გაზაფხული, ოღონდ უთქვენოდ. თქვენ ხომ უზომოდ ენერგიული და თბილი ქალბატონი ბრძანდებოდით. თქვენს პროფესიაზე, საგანზე და მოსწავლეებზე უზომოდ შეყვარებული.

თქვენმა სიკვდილმა ბევრ ადამიანს ატკინა გული. თქვენ არა მარტო საუკეთესო პედაგოგი, არამედ ბრწყინვალე მეუღლე, დედა, ბებია და თანამშრომელიც იყავით. ძნელია წარსულში ლაპარაკი თქვენზე, მაგრამ გვჯეროდეთ, თქვენი აღზრდილებისთვის და მეგობრებისთვის ყოველთვის საყვარელი მერი მასწავლებელი დარჩებით. თაობები ასე მოგიხსენიებენ- მასწავლებლების მასწავლებელი. ქალბატონი, რომელმაც ბევრი თაობა აღზარდა და ბევრი ახალგაზრდა დააყენა ცხოვრების გზაზე.

ყოველთვის გვემახსოვრება თქვენი სათნო ღიმილი და გულის სითბო.

მსუბუქი ყოფილიყოს თქვენს გულზე დაყრილი მიწა.

სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის
პედკოლექტივი

უნიკალური აღმოჩენა დედოფლისწყაროში

კახეთში, ივრის ნაპირზე, კოწახურას ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთით რამდენიმე თვის წინ აღმოჩენილ ანტიკური ხანის ნაქალაქარს, რომელთანაც ბრინჯაოს ხანის ყორღანი მდებარეობს, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა. შესაბამისი ბრძანება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა გამოსცა. სამართლებრივი აქტის მიხედვით, განისაზღვრა ძეგლის ზუსტი საზღვრებიც. ივრის ნაპირზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფმა, აქამდე უცნობი არქეოლოგიური ობიექტი მიმდინარე წლის იანვარში დააფიქსირა. სააგენტოს ინფორმაციით, ანტიკური ხანის ნაქალაქარი, რომელთანაც ბრინჯაოს ხანის ყორღანი მდებარეობს აქამდე შესწავლილ ყორღანებს აღემატება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, 2017 წელს დაგეგმილი აქვს კომპლექსის კვლევის დაწყება, რომელშიც ჩართულები იქნებიან საერთაშორისო წამყვანი არქეოლოგიური ინსტიტუციები.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველია მისი ისტორიული ან კულტურული ღირებულება, დაკავშირებული მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტურობასთან. აღნიშნული ობიექტი აისახება ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში, მის შესახებ მონაცემები კი განთავსდება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე.

არქეოლოგი კიაზო ფიცხელაური გაზეთ „შირაქთან“ საუბარში დედოფლისწყაროში მდებარე ველების მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

„ბოლო ხანს დედოფლისწყაროში იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩენები კეთდება, რომ ჩემი დედაქალაქში ნახვა ფაქტობრივად უკვე შეუძლებელი გახდა. მთელი დროის გატარება აქ მიწევს, ბინა მაქვს დაქირავებული და აქ ვცხოვრობ. ეს მხარე მთლიანად არის 470 000 ჰა ტერიტორია. დაუსახლებელი ადგილია, აქ მხოლოდ აზერბაიჯანელი მწყემსები გვხვდებიან. ეს რა თქმა უნდა კარგიცაა, რომ მეცხოველეობა ვითარდება, თუმცა ცუდია, რომ ეს ნახევარი მილიონი ჰექტარი მთლიანად დაუსახლებელი ადგილია. პარალელებს თუ გავავლებთ, მინდა გაგახსენოთ, რომ დედოფლისწყაროში აღმოჩენილია ასევე 20 სმ სიგრძის ბრინჯაოს საბრძოლო ეტლის მოდელი. ჩნდება კითხვა - საბრძოლო ეტლი გლეხის იქნებოდა? ცხადია არა. საბრძოლო ეტლი სახელმწიფოებრივი გაერთიანება და იმ დროის დიდი სამხედრო სტრუქტურაა. ქრისტემდე IX-X საუკუნეში ის იგივე ფუნქციის იქნებოდა, რაც ახლა ტანკია. ეს ნიშნავს, რომ აქ მაღალი რანგის ადამიანები ცხოვრობდნენ,“ – ამბობს კიაზო ფიცხელაური.

„სამეცნიერო წრეებისთვის ობიექტის ცნობადობა ნიშნავს, რომ რაიმე სახის ინფორმაცია მანამდე სადმე იქნებოდა გამოქვეყნებული. ამ ადგილის შესახებ კი არცერთი მონაცემი არ დაფიქსირებულა. ჩვენი სპეციალისტები როდესაც ადგილზე იმყოფებოდნენ, ეფექტი მოგვცა საჰაერო გადაღებებმა, საიდანაც ზედხედით სრული სივრცე გამოჩნდა. დაბლა ისე თვალშისაცემად არ აღიქმება, როგორც ზემოდან. მოგროვებული მონაცემები უკვე გაგზავნილი გვაქვს საერთაშორისო არქეოლოგიურ ინსტიტუტებთან. ველით მათ პასუხს პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით და შემდეგ დავიწყებთ კვლევით სამუშაოებს,“ – აღნიშნავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორი **ნიკოლოზ ანთიძე.**

„კერამიკის ნაშთები, სალესი ქვის ნაწილები, აღმოჩნდა, რამაც დაგვიდასტურა, რომ ეს ნამდვილად არის არქეოლოგიური ძეგლი. ეს იყო ანტიკური ხანის ნაქალაქარი, რომელთანაც ბრინჯაოს ხანის ყორღანები მდებარეობს და მისი მასშტაბი აქამდე შესწავლილ ყორღანებს აღემატება. ალიზის ნაგებობებით დაგეგმარებული კომპლექსი მთლიანად დანგრეულია და მხოლოდ კონტურები იკვეთება. ჩანს ხანძრის კვალიც. ძნელია იმის თქმა, ეს იყო ნაქალაქარი, არქიტექტურული კომპლექსი, ადამიანის ნამოსახლარი, თუ სატაძრო ნაგებობა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს არის ადამიანის მოღვაწეობის კვალი, საცხოვრისი კომპლექსი, რომელიც ძალიან ბევრი რამის მთქმელი იქნება,“ – ამბობს არქეოლოგი **ქეთევან დიღმელაშვილი.**

არქეოლოგიური ობიექტი ამჟამინდელი მდგომარეობით, გავრცელებულია 2.5 ჰექტარზე. თუმცა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, შესწავლის შემდეგ არ არის გამორიცხული მისი ფართობის ცვლილება.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

ვიოლეტა ნატროშვილს!

დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, სულ ასეთი მომხიბლავი და ღიმილით გაცისკროვნებული გვენახეთ!

თქვენ არა მხოლოდ კარგი პროფესიონალი ხართ, არამედ გამორჩეული ადამიანური თვისებებითაც. დიდხანს ყოფილიყავით ჯანმრთელი და ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე!

პატივისცემით,
ზემო მაჩხაანის ამბულატორიის თანამშრომლები

ქეთინო ზარაფიშვილს!

სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი ქეთინო ზარაფიშვილს ულოცავენ პირველი შვილიშვილის მარიტას დაბადებას. უსურვებენ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებულ მომავალს.

ყურადღება!

ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს ქალები“ „ქალთა ფონდი საქართველო” მიერ დაფინანსებული პროექტის „ქალები სუფთა გარემოსთვის” ფარგლებში აცხადებს კონკურსს დედოფლისწყაროს ნიკო ფოროსმანაშვილის სახელობის სამხატვრო სკოლის მოსწავლეებში, ხატვის მოყვარულ ახალგაზრდებსა და ქალბატონებში, რომლებსაც უყვართ და აინტერესებთ შემოქმედება. ნამუშევრები თემატურად უნდა ეხმიანებოდეს გარემოს დაცვას. დაინტერესებულ ახალგაზრდებს, მოსწავლეებს და ქალბატონებს გთხოვთ, გაითვალისწინოთ ადამიანის მიერ გარემოს დაცვის საკითხები. კარგი იქნება, თუ ნამუშევარში თემატურად ჩადებთ ქოჩების ტბის, ქარსაფარი ზოლის, სასმელი წყლის სათავე ნაგებობის ან თქვენი სურვილის მიხედვით სხვა რომელიმე ბუნების პეიზაჟს მისი გადარჩენის კუთხით. დაინტერესებულმა პირებმა შეგიძლიათ ნამუშევარი წარადგინოთ ერთი თვის ვადაში გაზეთ „შირაქის“ რედაქციაში, სამხატვრო სკოლაში ან ერეკლე მეორის ქუჩა №47-ში. ინფორმაციის უკეთ გასაცნობად, შეგიძლიათ დარეკოთ ტელ: 591 09 24 70. გამოფენა გაიმართება 20 მაისს, მუზეუმის შენობაში, ყველა მონაწილე დაჯილდოვდება სერთიფიკატით, ხოლო ჟიურის მიერ მოწონებული ნამუშევრების ავტორები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.

პატივისცემით, ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს ქალების“ დამფუძნებელთა საბჭო

ინიდება!

იყიდება ერთოთახიანი ბინა ავტოფარეხით დედოფლისწყაროში (სოკარის მოპირდაპირე მხარეს) რუსთაველის ქუჩა N4, კორპუსი 31, ბინა17. შესაძლებელია გაცვლა კერძო საცხოვრებელ ბინაზე. ფასი შეთანხმებით.
☎ 591 80 35 13.

იყიდება ბინა დედოფლისწყაროში, მეგობრობის ქუჩაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 2000კვ.მ შენობა-ნაგებობით. ფასი შეთანხმებით.
☎ 599 50 36 28

მადლიერება

24 თებერვალს ზემო ქედი-თბილისის მაგისტრალზე ავტოავარიისას დაშავდა 22 წლის შოთა მჭედლიშვილი. მეორე თვეა, ის კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფება თბილისში, არამიანცის კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში. დაფინანსების ამოწურვის გამო დღე-ღამეში 600 ლარის გადახდა გვიწევს, რის შესაძლებლობაც არ გაგვაჩნია, რომ არა კეთილი ხალხის დახმარება.

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობას, საკრებულოს, პოლიციის რაიონულ განყოფილებას, კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრს, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრს, მრევლს, მასწავლებლებს, სკოლებს, გაზეთ „შირაქის“ რედაქციას, ასევე ჟურნალისტ **ილია მარტყოფლიშვილს**, რომელიც აქტიურად აშუქებდა და ავრცელებდა ანგარიშის ნომერს ტელეკომპანია „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში შოთას დასახმარებლად, იმ ახალგაზრდებს, რომელთა ინიციატივით და ორგანიზებით ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი, ყველა ორგანიზაციასა და რიგით მოქალაქეს, ვინც მცირედი ნვლილი მაინც შეიტანა შოთას გადარჩენის საქმეში. ჩვენი ოჯახისთვის ბევრს ნიშნავს თითოეული თქვენგანის დახმარება და უფალს ვთხოვთ, ამ სიკეთისთვის ღმერთმა წყალობა და დღეგრძელობა არ მოგაკლოთ.

პატივისცემით,
შოთა მჭედლიშვილის ოჯახი

შენიშვნა

ძვირფასო მკითხველებო, ჩვენი გაზეთის წინა №11-ში ტექნიკური შეფერხების, კერძოდ, სამონტაჟო ეკრანის მოულოდნელი გათიშვის გამო, გაიპარა ბევრი კორექტურა და აზრობრივი ლაფსუსი. ამასთან, უხარისხო იყო შიდა გვერდებში განთავსებული ფოტოები. ამისთვის რედაქცია ბოდიშს იხდის.

შოთას დასახმარებლად ☎ 0 901 701 247 – (1 ლარი)

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 03.04		სამშაბათი 04.04		ოთხშაბათი 05.04		ხუთშაბათი 06.04		პარასკევი 07.04		შაბათი 08.04		კვირა 09.04	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	3 °	1 °	7 °	6 °	11 °	9 °	12 °	9 °	14 °	13 °	17 °	13 °	18 °	13 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბულალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.